№ 200. 21 სეკტემბერი, კვირა. 1866—1880 21 სეკტემბერი, კვირა. № 200.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

რედაქცია

[illegible] ,,შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუბარსა[illegible] [illegible]ის ხახლში, № 2.

ხელის-მოწერა

[illegible]ება ,,დროებაზე" ,,ივერიის" რედაქციაში. გარეშე [illegible]თვის: Въ Тифлисѣ, въ re[illegible] ,,Дроэба" ,,Иверія"

„დროება"-„ივერიის" ფასი

				წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროებაზე" „ივერიაზე" ერთად.		13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე	„დროებაზე"	9 მან.	5 მან.	3 მ.
	„ივერიაზე"	6 მან.	4 მან.	2 მ.

[illegible]ალკე ნომერი, „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ასოებით ხაზზე 1 კაპ., [illegible] [illegible]ულით ხაზზე ნახევარი კაპ. ბეჭდულებრივის ასოთი ხაზზე შეოთხედი კაპ.

[illegible] ხაჭირავება შეიძლება, რედაქციაში კარგად [illegible] [illegible]ლებს დასაბეჭდად კარგად [illegible]ულ წერილებს. [illegible] [illegible] წერილს რედაქციაში [illegible] [illegible]ებს [illegible]ტრს.

[illegible]ება [illegible]ულს, [illegible]ულს, [illegible] [illegible]ულ [illegible]ებ.

კნეინა ქეთევანი სუმბათოვისა ამით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებთ, რომ 21 ენკენისთვეს, დილით 9 საათზედ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. გიორგის (ძაშვეთის) ეკკლესიაში, გარდაცვალებულ მისი ძმის უვანათლებულესი თავადისა ივანე გრიგორის ძის ზრუზინსკის მოსახსენებლად.

ჭავჭავაძის ქუჩა, სახლი მალევსკისა, № 17 თ. სუმბათოვი.

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის საგენტოსი)

პარიჟი, 14 სექტემბერი. *Times*-სისგან ნაუწყი დულცინიოს გადაწვა ტყუილი გამოდგა.

პეტერბურღი, „ნოვოე ვრემიას" სტამბოლიდამ სწერენ, რომ სახელმწიფოთაგან უკმაყოფილების განცხადების გამო ხონთქარს თავ-ზარი დაეცა; საქმეთა მდგომარეობა აბდულაზიზის დროინდელ უკანასკნელ ხანსა ჰგავს. ბევრი შიშობს, რომ სასახლეში შესაძრწუნებელი რამ მოხდებაო.

სტამბოლი, სექტემბერს. ელჩებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც ამტკიცებენ თავიანთ უანგარებას ბერლინის ტრაქტატის ასასრულებელ მოქმედებაში და თანდებულობენ რომ არ დაიწყებენ კერძო ინტერესებისადმი ლტოლვას, არ ეძებენ მიწების შეძენას, გაჭრული სარგებლობის გამოკიდებას ან და განსაკუთრებითი გავლენის მოპოვების ცდას.

პეტერბურღის ბირჟა, 19 სექტემბერს.

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის საგენტოსი")

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა	— — 94	—25
მეორესი	— — — — — 92	—37
მესამესი	— — — — 93	—25
მეოთხესი	— — — — 92	—50
აღმოსავლეთის პირვ.	— — 90	—75
აღმოსავლეთის მეორე	— 91	— „
აღმოსავლეთის მესამე	— 90	—87
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— — 7	—98
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	— —	„ — „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 220	—50
მეორე სესხის	— — — 216	—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 24—	პენსი
ამბურღი	— — 211—25	ცენტი
პარიჟი	— — — 261—50	სანტიმი
ვენა	— — — 129—50	პფენიგი
კავკასიის კერასინი	— — —	

ჩარჩოების აღკრძალვა

ტფილისი 20 ენკენისთვე

ნათქვამია: „კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო"; შეიძლება ეს ანდაზა გადავასხვაფეროთ და ვთქვათ კარგის განკარგულების მომხდენს კარგი აღმასრულებელი უნდა ჰყავდეს.

ამ ფიქრმა გაგვიელვა თავში, როდესაც დავაკვირდით სოფლის ცხოვრებას და ვნახეთ, რა ბოლო გამოება ბატ. თბილისის გუბერნატორის ყოველად საქებს განზრახვას და ბრძანებას, რომ სოფლელებმა სოფლის მოსაველის გაყიდვა ჩარჩებზედ აღარ გაბედონ და პირ-და-პირ ქალაქში ყაიტანონ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდლად. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ზომა ბევრის შემავიწროებელია; ბევრს იმდენი არ მოუვა, რომ ერთი ურემი მაინც გადაარჩინოს გასასყიდლად და ორი-სამი კოდი პური სად აწოწიალოს ქალაქამდის ასსა და ორას ვერსზედ. მაგრამ ამ გვარი შეწუხება, შეავიწროება ხალხისა კიდევ მოსათმენი იყო და შეიძლებოდა სხვა-და-სხვა ღონით თავიდამ აგვეცილებინა, თუ კი მართლა ამ განკარგულებით მოისპობოდა ის საზიზღარი ჩარჩობა, რომელმაც ასე აურდაურია ჩვენი აღებ-მიცემა.

მაგრამ ჩვენი ცხოვრება ისე უკულმართად მიდის, რომ კეთილმა განზრახვამ ავად იმუშავა და ამ გვარმა მთავრობის განკარგულებამ არამც თუ შეავიწროვა სოფლის მწარმოებლები, არამც თუ ვერ მოსპო ჩარჩობა,— ჩარჩებათ ისეთი პირნი და ისეთი წოდების ხალხი გახადა, რომელთაც უწინ ქირით ურჩის ტარებაც სამარცხვინოდ მიაჩნდათ.

ახალის განკარგულების ძალით ჩარჩებს კი აღკრძალული აქვსთ ჭირნახულის ვაჭრობა, მაგრამ „პოდრიადჩიკებს" კი არა; გამოვიდა თუ არა ამ გვარი ბრძანება, ჩარჩები გაწყვნენ, მაგრამ პოდრიადჩიკთა რიცვი გამრავლდა და მალე ჩარჩების უწინდელს რიცხვს გადააჭარბა. საიდან გაჩნდნენ ეს ამოდენა პოდრიადჩიკები, ან სად არის ამდენი საპოდრიადო საქმე?! პოდრიადჩიკები წარმოშობეს მაზრის სამმართველოებმა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათ, სადაც ისე რიგდება პოდრიადების მოწმობა, როგორც უწინ და ზოგ ჯერ ეხლაც ჩვენს გიმნაზიებში მდიდარს შეგირდებს ატტესტატი ურიგდებოდათ.

გარდა ამისა ზოგიერთნი მიჩნეულნი პირნი მაზრის უფროსისა, რომელთაც ვალათა სძევთ თვალ-ყური ადევნონ, რომ ჩარჩებმა არსად გაიწაწა-

---

დროების ფელეტონი, 21 ენკენისთვე

მმართლობ—მტყუანს.

ოჰ, შენ ურცხვინო! რად იმართლებ მაგ—გვარად თავსა,
რითაც შეუნდობ რაც კი გექმნას თავს ყოველს ავსა:
იცი ხომ გულში, ანდა, უწინ მაინც იცოდი,
როდესაც მცირეს ბრალის-თვისაც რცხვენით იწოდი,
იყავ უბრალო გაუქსველი, წრფელი ყმაწვილი,
ბულ-დაუხშავი, ქალწული და მართლის ნაწილი,—
იცი რომ რასაც ყბედობ, მრუდავ, ღელარჭნი და ღუნავ,
ვერ აიზვეი იმ ლაფიდამ, თუმც მედგრად ხტუნავ;
იცი, რომ რაც ქმენ, ან თუ მოხდა, სჩანს მთლად უხმაოდ,
ხმით ვერ გადაიქმ და სიტყვის ძალს ლევ ფუჭ-ამაოდ;
როგორც თავის-თავს, ვერც ერთს მსმენსაც, ვინ გისმენს გულით,
ვერ უქცევ ცნობას, ვერ გადაცვლი ფიცით და კრულვით;
ვერ შესძრავ მათსა დაჯერებას სწორს და მიმხვდარსა,
შენგან მონაკვდავს, ვერ აღადგენ საფლავით მკვდარსა,
ვერ გაათეთრებ თეთრობის თქმით ნამოქმედს შავსა,
ვერც მოიცილებ სვინდისის სჯას მქლიბველს და მწვავსა.
საბრალო მქნილო! ვინ გწადს ფრაზით რომ მოატყუო,
გასინჯე აბა, საცოდაო, თუ რასმე ირგებ:
ღმერთს ვერ შეაცდენ და წრფელ—სვინდისს ვერ შეირიგებ,
ბონიერ კაცს უქრთამოსა ვერ მოაღორებ
და ასე, იმას, მრუდად რაც ქმენ, ვერ გაასწორებ;
შეეზილები მცბიერებას, სიყალბეს მრყვნელსა
ბულის-სიბილწეს, ჟინს ხუებას თვისთა გამყრელსა;
დახუებული, ცოფად მრბენი, რას წაატყდები,
რაც კი მოხვდება კარგი, ავი მას დაახტები,
მეგობრის ერთგულ ხელის-ქნევას აავლებ თვალსა,
არ იკადრებ, რომ მართლის რჩევით სდევდე გზა-კვალსა;
შენის ბოროტის სახურავად, სულ მარტო ამად
მიგიჩენია შენი ენა—სტყუი თამამად;
შენი სურვილიც იმ ზომამდის გაწვრილებულა,
რომ მხოლოდ სიტყვით გსურს სიმართლე,—არ საქმით სრულა!
შეგიჩვევია ეს მტრული და დამმხობი წუნი,
შიდ წაგიგია რაც გებადა სამღვთო ნარგუნი:
ლმობიერება, სიმართლე და თავის—მთავრობა,
ცდა, სიყვარული, ვნების-ძლება, ნების მყარობა;
რომელიც უნდა კაცობრივი თვისება გახდეს,
არ შეიძლება ამ შენ ჭირში იგი არ წახდეს,
არ შეიძლება სიცრუის, რომ სიმართლე შეგრჩეს,
თავის მმართლებელს კეთილი რამ ცუდში გაგერჩეს.
შენ სხვას არ ზრუნავ, ოღონდ სიტყვით თავს არგო რამე,—
ვინც კი შეგისწროს ქურდობაში, უთხრა „დამსწამე!"
თუნდ შენის საქმით, საყვარელსაც მოსთხარო თვალი,
თავს არ დაუგმობ, თუ რომ კი სთქვი: „არ მაქვსო ბრალი!"
ბინდ რომ თამაშში შემოგაკვდეს თვისივე შვილი,
ბევრს თავს არ იტეხ, თუ მოასწარ: „დამდვესო ცილი!!!"
ეს საშიშარი, რომ მოგრტყმია **მართლების ჭირი**,
შეუჭამია გონების და ნამუსის ძირი;
ცხადი სიმტყუნე გამოგაჩნდეს, აღარ გრცხვენია,
გგონია, ყველა შენის პირით შესარცხვენია.
ავსილი ხარ სულით მატყუვრობის გადამავლობის,
აღარ სდევს ფასი შენის აღთქმის, ყვარვის, მადლობის;
ბილალატნია თავის-თავის სახელისა-თვის:
დანიშნულების, თვითების და სიქველისა-თვის—
შეუგონებო, ეცადე, რომ იყო მართალი,
თვარა ცუდს იზამ და გინდა კი გიჩანდეს კარგი,
ხომ არ იქნება საქმე ცუდი ნდომით ნავარგი!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონ, თვითონვე გაჩარჩდნენ, თვითონვე ყიდულობენ აუარებელს პურს და ინახვენ უკეთეს დრომდის, როცა პურის ფასი მაღლა აიწევს და ყიდულობენ ისე დაბალ ფასათ, რომ ჩარჩები თავის დღეში ვერ იყიდდნენ. ბლეხ-კაცები ჩარჩებს არას მოერიდებოდა, მაგრამ ამ გვარს უფლებით შემოსილთ პირთ კი უნდა მოერიდოს, „ხათრი“ გიუწიოს, თორემ მოასწრებენ სადმე და მაშინ ვაი იმისი ბრალი!

ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა ის პირნი, რომელთაც ამ გვარად გამოიყენეს თავიანთ სასარგებლოდ მთავრობის განკარგულება, მაგრამ ჯერ-ჯერობით გავჩუმდებით. იქნება ამ ორიოდე სიტყვამ თავისი ჰქნას და დაუსახელებლათაც სირცხვილის სიწითლე მოჰგვაროს სახეზედ ამ წარჩინებულ პირთ, მაგრამ ვაი შენს მტერს!

ჯერ უნდა პატარა დალაგდეს ჩვენი ცხოვრება; ჯერ უნდა გაიწმინდონ სხვა-და-სხვა სამმართველოები მოქრთამეებისაგან; ჯერ უნდა გაიწმინდოს ჩვენი საზოგადოება იმ უწმინდურის აღებ-მიცემის მიმდევთ პირთაგან, რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით და მაშინ, მხოლოდ მაშინ, შეუძლიან სხვა-და-სხვა სასარგებლო განკარგულებას კეთილის ნაყოფის მოტანა...

ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყეთ შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ერთს გლეხ-კაცს ბამდლიშვილს რის წვალებითა და ტანჯვით მიუღებინებია სწავლა თავის შვილისათვის და მიუცია თბილისის სასულიერო სემინარიაში. თუმცა ბევრსა ცდილა, მაგრამ სახემწიფო ხარჯზედ არ მიუღიათ; შემდეგ ისე გასჭივრებია საქმე, რომ თურმე მისს შვილს გამორიცხვას უპირებდენ; ამ დროს შესწევიან მას თ. ამირეჯიბები, რომელთაც გარდუწყვეტიათ აძლიონ მას შემწეობა ყოველ წლივ, ვიდრე იმისი შვილი კურსს გაათავებდეს. ეს ყოველად საქები გარდაწყვეტილება მაშინვე შეუსრულებიათ და აღუთქვამთ ყოველ წლივ ამ გვარის შემწეობის მიცემა.

* * *

პოლიციის გარდაწყვეტილებით ქუჩა-ქუჩა მოწანწალე ძაღლებს ხოცვენ და მტკვარში ყრიან. ბუშინ, ავლაბრის ხიდს ქვემოთ, თორმეტიოდე დასიებული ძაღლი დაჰქონდა მორევს და თუ ნავებით არ გაწმინდეს ეს მორევი წყლის მოდინარეობას ვერ მოჰყვებიან ისინი რაისაგამო იქვე ლპებიან და აფუჭებენ. როგორც წყალს, ისე ჰაერს.

* * *

პირველი წარმოდგენა ქართული ტრუპპისა დანიშნულია ოთხშაბათს, 24 ენკენისთვეს, არწრუნის თეატრში. წარმოადგენენ აკაკის ახალ დრამმას—ქუდურ-ხანუმს.

* * *

ბუშინ-წინდელი წარმოდგენა ქართული სცენის მოყვარულთაგან ერთობ ცუდათ წავიდა. პირველი კომედიის „ფერი ფერს—მადლი ღმერთის“ თამაში ყველაფერს ჰგავდა არტისტიულ თამაშის გარდა... მართალია ყველა მოთამაშენი, ორის გარდა, დებიუტანტები იყვნენ და მაშასადამე ბევრი ნაკლულევანება ეპატიებათ, მაგრამ რადგანც მათ ამ ბევრსაც გადაცილეს საყვედურისთვისაც ნუ დაგვემდურებიან.

მეორე პიესა „ცოლი თუ გინდა ეს არი!“ შედარებით უკეთესად წავიდა ბ. მატიაშვილის წყალობით.

* * *

„დროების“ № 198-ში გადმობეჭდილი **გოლოსის** ტელეგრამმა იძრვაას აბხაზების მდგომარეობაზე, რომელნიც ასე შეუბრალებლად დასტოვა ზღვის ნაპირას ფრიალო კლდეთა შორის გემჰა **აგიოს პეტროსმა.** ეხლა ჩვენდა სასიხარულოდ ვჰკითხულობთ დღეს მიღებულ **გოლოსის № 254**-ში, რომ **დ. მ.** მიხეილ ნიკოლოზის ძის ქავკასიის ნამესტკნიკის მოწყალებით ამ უბედურ აბხაზებისათვის ნება მიუციათ თავიანთ მამულში დასასახლებლად.

* * *

ქალაქის რჩევის ხვალინდელ სხდომაზე განიხილებიან;

1) ვართანოვის განცხადება სიძვირის მოსპობის ღონისძიების თაობაზედ.

2) და 3) ხმოსანთ აკერკიევის და ნიკოლაძის განცხადება ხმოსანთ რიცხვიდამ გამოსვლის თაობაზე.

4) ბ. ბუბერნატორის წინადადება იმ უარის შესახებ, რომელიც ქალაქის რჩევამ მიიღო სახალხო გასართობათა თხოვნაზედ.

5) **დრ. ქ.** თავის წინადადება ქალაქის მცხოვრებელთათვის მისაცემ ქალაქის ნაწილების განსახილველად კაცების დანიშვნის თაობაზე.

6) ბამგეობის მოხსენება აგურის ქარხნების შესახებ და

7) **დრ. ქ.** თავის წინადადება ქალაქის რჩევისაგან 22 მარს 1877 წ. და 1868 წ. დადგენილ განჩინების ახსნის თაობაზედ.

ერთი ჩვეულება სამეგრელოში

სოფელ ბიაში (ზუგდიდის მაზრა) დგას მთავარ-ანგელოზის საყდარი მაღლად აყვანილ მინდორ ადგილზედ; ეკკლესიას უელის თვალ უწვდენელი დალმართი. ნამარიობევის სამშაბათს ამ ეკკლესიაში შეიკრიბება ხალხი და გაიმართება სხვა და სხვა გვარი თამაში და ჯირითობა. ეს თამაში დაიწყება კვირიდან და გათავდება სამშაბათს. ქვირა ნასადილევს გამოარჩევენ თორმეტ ახალ-გაზდა უცოლო ყმაწვილებს (გლეხთაგან), რომელთაც სახელათ უწოდებენ „მალანურს“; ამ თორმეტი კაცისაგან ექვსი იქნება მეფის მხრით და ექვსი დადიანის მხრით. მათ ეყოლებათ ორი კაცი, ერთი ვითომ დადიანი და მეორე მეფე; დადიანათ დანიშნული დაჯდება საყდრის წინ და მეფეთ დანიშნული იმის პირ-და-პირ. ბამოიყვანებენ ორ, ან სამს მოლაპარაკე ტრაბახა კაცებს მოციქულებათ. დადიანი შეუთვლის მეფეს: რისთვის მოსულხარ? თუ მშიერი, ხარ ვახშამს გაჭმევ და ხვალ შინ წაბრწანდიო; მეფე შამოუთვლის მაგიერს: შენი ვახშმის მშიერი მე არა ვარ და იმდენს ეტყვის, რამდენიც ტრაბახას ენიდამ შეიძლება. შემდეგ ეცემიან ყველა ერთმანერთს შერეულათ და ჭიდაობენ. იმ ღამეს იქ დარჩებიან; დილას სოფელში წავლენ სადილის საჭმელათ და ნასადილევს ისევ ამოვლენ საყდარში. ამ თორმეტ კაცში თითოეულს უჭირავს ხელში ორი არშინის სიგრძე გათლილი ჯოხით და ამ ჯოხით უელიან საყდარს სიმღერ-

---

ის არ გიყვარდეს, რომ მართალი
იქმნეს დასტურად
და ის კი გწადდეს იმართლებდე თავსა
მაცდურად!
ნუ იქმ, გაჩერდი! რაც არ გიყვარს
ის შეიყვარე:
მართალი იყავ, კეთილი და მართ-
ლადც იარე.

ნ. დადიანი.

24 ოკტომბერი 1870.

ზოგიერთი რამ

ისევ თქვენ და ისევ თქვენ, ჩვენო წინაპარნო. თქვენი დიდებული წარსული გვამხნევებს და გვადიდებს ჩვენ! ისევ თქვენის დიდებულის და სახელოვანის საქმეთა ხსოვნით გვაქვს გულნი, აღგზნებულნი მამულის სიყვარულით!... საით გავიხედავთ, რომელს საქმეს დავიწყებთ, რომ ჩვენთა წინაპართა ნამოქმედარი არ დავინახოთ?! აგერ მაღალის მთიდამ მოჩანს „ტურფად ნაშენი“ ძველის ქახეთის სატახტო ქალაქის ბრემის მთავარ ანგელოზის ტაძარი, აღშენებული ქახეთის მეფის ლევანისაგან (1520—15845); შეხედეთ ამ გვარსავე შუა-მთის ღვთის-მშობლის ტურფა ეკკლესიასა, აშენებულს ლევანის მეუღლის თინათინისაგან „ადგილსა მას თეთრის შინდისასა“; თითქოს ქმარსა და ცოლს თვისი დღენი ამ ტაძართა ტურფად აგებისათვის შეუწირავსთო! აგერ იყალთოს ღვთაებაც გამოჩნდა, სადაც დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125) ჰყვაოდა ფილოსოფიისა, მჭევრ-მეტყველობისა, მღვთის-მეტყველებისა და სხვა მეცნიერებათა სწავლა, თვისის წარმომადგენელის არსენი იყალთოელითა (გვარად ბაჩნაძე)! ალვანის მინდორზედ როგორ ამაყად წამოჭიმულა სამების ეკკლესია, თითქოს თავი მოაქვს თავის დიდებულის ამშენებელითა, დიდის თამარითაო (1184—1212)! ეს რა შენობა სჩანს ალაზნის პირზედ: ნუ თუ იგი თეთრი მთაა?! ეს გახლავს საქართველოს ტაძრების მეფე (სიდიდით), სობორო ალავერდისა, აღშენებული სასსანიდის ქირიონისაგან მე-VIII საუკუნეში! ამისი დღეობა—ჯვარის ამაღლება ამ თვის თოთხმეტს გახლდათ. აი ესენი და ურიცხვი ამათთანა ტაძრები დაგვიტოვეს ჩვენ წინაპართ.

დავიფასეთ მათი ღვაწლი, ხელს ვუწყობთ მათს გამშვენიერებას, ან ვსცდილობთ მაინც, რომ ეს ჩინებულნი მოწამენი საქართველოს დიდებისა სრულიად არ განჰქრენ დედამიწის ზურგიდამ?—თქვენ არ მომიკვდეთ! რაც მაჰმადიანთაგან დააკლდა ამ შენობებს, იგი ჩვენ შევუსრულეთ: არც ძველი ხელთ-ნაწერები, არც ძველი ნივთები, არც ძვირფასი ხატები და თვალ-მარგალიტი ჩვენ არ დავაყენეთ ჩვენს ეკკლესიებში: იგინი ან კერძო გვამთა ხელში ჩაცვივდნენ, ან თფილისის სიონში გარდიტანეს ან (მომატებული) რუსეთში!.. „ქართული მუზეუმი უნდა გაეხსნათ თფილისშიაო“, გაიძახიან მოწინავე ქართველები. არა, ბატონო, ჯერ აღრეა; თავს რაზედ იწუხებთ: ერთი ხუთიოდე წელიწადი კიდევ მოითმინეთ, რომ საქართველოში ერთი ძველი ნივთი აღარ დარჩეს და შემდეგ უფრო კარგი იქმნება: მუზეუმიც ახალი ნივთებით და წიგნებით გაიმართება და საქართველოც უეცრად განახლდება! რაც დრო გადის უფრო ცხადად მტკიცდება, რომ ქართველთ ისევ ღრმა ძილითა სძინავთ, რომ ქართველნი უფრო პიროვნებას რჩეულობენ, ვიდრე ერთობასა. მაგალითი ბევრია: რამდენჯერ იყო „დროებაში“ მიმართვა ქართველთადმი ოდესმე დიდებულის „ივერიის“ მონასტრის დაბრუნებაზედ ჩვენთვის და აღდგენაზედ; რამდენჯერ. მიჰმართეს ქართველს საზოგადოებას: „ქართულს მუზეუმს ვმართავთ და ვისაც ძველი ხელთ-ნაწერები და ნივთები გაქვსთ გამოგზავნეთო; გამაჰმადიანებულს ქართველებს დავეხმაროთო; ქართული გალობა აღვადგინოთო და სხვა და სხვა? რა გამოვიდა? ამოიღო ვინმემ ხმა?—სრულიადაც არა! ხუთი-ათი კაცის მეტი არა სჩანს ხოლმე ამ გვარს საქმეში მოღვაწედ: ისინიც პირველად კი გამოჩნდებიან, თვალებს მოიფშვნეტენ და ისევ მალე მიეცემიან თავის სატრფო ძილსა და პირადობასა... სომხებს დავსცინით. ხა! ხა! ხა! ქური დაუგდეთ რუსეთისა და ევროპიელთ გაზეთებსა რას ამბობენ; რას უქადიან სომხებსა! ქართველები გაიძახიან: „სომეხი გრუშისათვის ძმას გაჰყიდისო“. დიახ, ჩვენსავით გულ-გრილები არიან თვისთა მოძმეთათვის, აი! ბულ-გრილები არიან საზოგადო საქმისათვის: ათას თუმნობით სომხეთში იგზავნებოდა თუ გამაჰმადიანებულს ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით. ამის შემდეგ მანანურებს საყდარში შეიყვანებენ და კარს დაუკეტენ. მერე დასდებენ საყდრის წინ ორ საჟენიან ჯოხს და დამწყვდეულებს საყდრიდან გამოუშვებენ; უკანასკნელნი ეცემიან ამ ჯოხს, ექვსი დადიანის მხრით და ექვსი მეფის მხრით. მათ აქვთ დანიშნული ლელო; რომელიც მხარე დასძლევს და ჯოხს წაიღებს ლელოსკენ, გამარჯვება მისკენ იქმნება. შემდგომ ამისა საყდარს შამოუარებენ და იძახიან გაუწყვეტლივ: „აის გაის“, ესე იგი, წრეულს და გაის. ამბობენ, თუ ამ ლელოსთან ჯოხის მიტანის დროზედ ვინმე ამ თორმეტ კაცთაგანი დეეცა, ის მეორე ჯარიანობამდი ვერ შიაწევსო. ბოლოს, სამშაბათს დილას, ისევ სოფელში წავლენ საჭმლის სათხოვნელათ. ნასადილევს ამოვლენ საყდარში, სადაც მარიამობაზე მეტი ჯარი იქმნება, ისევ აიღებენ ჯოხებს ხელში გამოასვენებენ ხატს და სამჯერ შამოუვლიან საყდარს გაუწყვეტლივის ძახილით: „აის-გაის, აის-გაის“.... ბოლოს, ჯოხებს საყდარზე გადისვრიან, წამოაყენებენ თავიანთ ჯოხს ხელს და გაქანდებიან ამ დალმართში თავდაუზოგავათ, ჩავლენ სირბილით ღელეში და ტანს დაიბანებენ. შემდეგ ამოვლენ ისევ საყდარში, დადგებიან თავიანთ ჯოხებით ექვსი ერთის მხრით, ექვსი მეორის მხრით და დაიწყებენ ხალხის ლოცვას; ამისთვის იღებენ საჩუქარს. ამ საჩუქრიდამ ცოტას ხატს უნაწილებენ და დანარჩენს თვითონ გაიყოფენ და ამითი გათავდება. ხალხი ამბობს, ჩვენ რომ ეს ჩვეულება მივატოვოთ, ჭირი, ან რამე სხვა ფათერაკი დაგვემართებაო.

ბ. ლ—ვ.

ნარკვევი

*** „გოლოსში“ დაბეჭდილია ბათომიდამ მიღებული კორრესპონდენცია იქაურ ოლქიდამ სალხის გადასახლების მიზეზზე და მისი მომსპობის საშუალების თაობაზე. ერთიც და მეორეც მრავალ-გზის ყოფილა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, მაგრამ არსებითს ადგილებს მაინც ვიღებთ ამ კორრესპონდენციიდამ:

„თუ კი ერთხელ-და - სამუდამოთ აღიარებულია, რომ ბათომის ოლქიდამ მკვიდრი მცხოვრებლების გადასახლება არ არის სასურველი, მაშ ადგილობრივმა განმგეობამ ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს ამ გადასახლების მოსასპობლად. შეტყველია რომ ჩვენი მხარის უმაღლეს მთავრობას არ ჰსურს ამ უხვი მოსავლიან ადგილების გაუდაბნოება და არ უნდა ქუდზე კაცი გადასახლდეს რამდენიმე თავზე ხელ-აღებულ კაცების გულისათვის. უმაღლესი განმგეობა, მაგ. მთის სამმართველო ხალხის დასამშვიდებლად ღონისძიებას ხმაროს, მაგრამ, საუბედუროთ, უმდაბლესი მოხელეების უმეცრება ერთობ ხშირად ხელსა უშლის.

„უფრო მოსამარჯვებელნ ღონისძიებანი გადასახლების შეწყვეტისათვის, ჩვენის აზრით, სხვათა შორის, შემდეგნი არიან: სამიდამ ხუთ წლამდე ხალხს ეპატიოს გადასახადი, რადგანაც უკანასკნელ ომიანობასაგან ერთობ დაზარალდა; განაძევონ სტამბოლიდამ ხალხის გასაფანატიკოსებლად მოსულნი ყველა მოლლები; აგრეთვე განაძევონ ის ზოგიერთი ბეგები, რომელნიც თავს შეურაცყოფილად ჰთვლიან, აქაო—და რუსის განმგეობა ხალხის ყველეფის და ჩაგვრის ნებას არ გვაძლევსო, და ამის გამო ხალხს აგონებენ გადასახლებას; გამოიცვალონ განმგეობის რამდენიმე პირნი, რომელთაც ხალხის არც ხასიათი იციან, არც ენა, არც ადგილობრივნი ადათები და თავიანთ მოქმედებით ხშირად აღძრავენ ხოლმე ხალხში უკმაყოფილებას!“

გოლოსის აზრით მით უფრო გასაკვირია ეს ღონის-ძიებანი, რომ ადრე გადასახლებულნი ოსმალეთში ყოველ ნაირ უბედურობას ეწევიან და უნებლიეთ ბრუნდებიან თავიანთ მამულში, სადაც დანარჩენებს გულს აუცრუებენ გადასახლებაზე. სწორედ ასეა. მაგრამ... . რადემდი უნდა დარჩეს ამ რიგი ბუშმარიტი რჩევანი საბრალო ბათომის ოლქელთა ხვედრის შესამსუბუქებლად „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა?“

რუსეთი

რუსულს გაზეთს **გოლოსში** ეჰკითხულობთ:

„ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ სასწავლო წლის დასაწყისს პეტერბურღის ყველა გიმნაზიებში მიუღიათ ოლქიდამ ქალალდი, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი საგანი ეძლევათ გიმნაზიის პედაღოგიურ რჩევებს განსასჯელად: ჰთელიან თუ არა მასწავლებელნი **სასწავლო პროგრამის შემცირებას** აუცილებელ საჭიროებად და შეიძლება თუ არა **სრულიად მოისპოს განარკვების მიცემა სახლში დასასწავლად?** ამასთანავე მოხსენებულია, რომ ამ კითხვებზე პასუხის მისაგებად მასწავლებელნი ნუ შესწუხდებიანო ეხლანდელ წესდების გამო. ამ წინადადების გამო ზოგიერთს გიმნაზიებში ზემოხსენებულთ კითხვების განხილვას უკვე შესდგომიან თითოოითო საგნების მასწავლებელთაგან შემდგარის კომისიების საშუალებით. ამ რიგად ცალ-ცალკე საგნებზე შეგროვებულ თითო აზრებიდამ, ბოლოს შეადგენენ ერთს, საზოგადო აზრს, რომელიც მთელს სასწავლო დარგს უნდა შეიცავდეს, და, გიმნაზიის პედაღოგიურ რჩევისაგან მოწონების შემდეგ წარდგენილ იქმნება სამინისტროში. მაგრამ არიან იმისთანა გიმნაზიები, რომელთა უფროსები ამ წინადადებას უჯრებში ინახვენ, თუმც აგერ თვე ნახევარზე მეტია რაც იგი მიღებული აქვთ. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ აზრების წარდგენის ვადათ პედაღოგიურ რჩევებისაგან 1 ოქტომბერია დანიშნული.“

რუსულს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ხარჯის სქემა ამ მოკლე ხანში გაუქმებელის III განყოფილებისა უმთავრესი უფროსის ჯამაგირი 18,000 მან., იმასვე ეკიპაჟისა და ცხენებისათვის 3,600 მ. III განყოფილების მმართველის ჯამაგირი 7,000, განყოფილებაში მოსამსახურე 50 კაცის შენახვა 65,048 მ., „საიდუმლო ხარჯებისათვის“ 558,957 მ., პოლიტიკურ დამნაშავეთა სმა-ჭამისა და სხვა ხარჯისათვის 4,000 მ., სადგომის ქირა, გაჩაღება და გათბობა, და აგრეთვე დარაჯთა ქირა 10,000 მ., კანცელარიის ხარჯი და ტელეგრამების გაგზავნ - გამოგზავნისათვის 6,000 მ. და სხვ. და სხვ... ასე რომ ყოველ წლიური ხარჯი ამ III განყოფილებისა იყო 700,000 მან...

ველოში! თელავში ერთი ძველი ყორეთ ნაშენი ეკკლესია იყო, რომელშიაც სადურგლო იყო აქამდის გამართული და წარსულ თიბათვეში გასწმინდეს აქაურმა სომხებმა, ხატებით მორთეს, აკურთხეს და ჩინებული დღესასწაულიც დააწესეს! ჩვენა?— ჩვენ ნეტავი იმ გვარს წარჩინებულს ტაძრებს შეუწყოთ ხელი, რომ არ ჩამოგვენგრეს, როგორიც არის ალავერდის ტაძარი!..

დავანებოთ ამ ყვედრებას თავი და ახლა ალავერდის დღეობაზედ დავიწყოთ ლაპარაკი. ალავერდის დღეობას წელს ახალი ხანა დაუდგა. ბუბერნატორის მოწერილობის ძალით თელ. მაზრის უფროსმა წაიყვანა მიწის გამმიჯვნელი ალავერდში და დააზომვინა ადგილი, დაანიშვნინა პატარა თხრილებით, თუ რომელს და როგორს რიგზედ უნდა დაწყობილიყვნენ მოვაჭრენი. აგრეც იყო. მაგრამ უცხო ვაჭრები თითქმის არ იყვნენ: ისევ ის ნივთები და მოვაჭრენი იყვნენ, რომელნიც წინა წლებშიაც გვინახავს. ძარგი იქმნებოდა, რომ გაზეთებში გამოცხადდეს ხოლმე ალავერდის იარმუკის დაწყების დრო; იმედია შემდეგის წლისათვის უფრო მომეტებული და უსაჭიროესი სავაჭრო მოვა აქ. ხალხიც საკმაოდ იყო: ქახი, თუში, ქისტი, ფშაველი, ხევსური, სომეხი ინგილო, თითარი ბლომად იყვნენ მეთქი. სხვათა შორის ახალი განკარგულება თელავის ადმინისტრაციისა ის გახლდა, რომ თელავის მაზრის თვითეული სოფლიდამ ხუთ-ხუთი კაცი იყო გამოწვეული იარაღით ყარაულებათ, რომ არაფერი დაკარგულიყო; მაგრამ ქურდებმა მაინც კიდევ რამდენიმე ცხენი იმსხვერპლეს, სხვათა შორის სოფ. ქისის-ხევის მთავარ-დიაკვნისა,—ურმიდამ აეჭრათ თოკით დაბმული ცხენი. ერთი ჯიბგირი თელავში მოიყვანეს ყარაულებმა გათოკილი... ლაზათიანი ფალავანდთ ჭიდაობაც გახლდათ: ვარდისუბნელმა „ბუმბულამ“ გალახა თავ-მომწონე და ბაქია, განთქმული ახმეტელი „ხინდილაშვილი“.

მის მაღალ-ყოვლად სამღვდელომ, ექსარხოსმა იოანნიკემ სწირა დღეობაზე; იმან ზოგიერთა ასამაღლებელი ქართულად წარმოსთქვა. წირვა ცისკარზედ ორი გუნდი იყო მგალობელთა: რუსული ექსარხოსისა და ქართული — ქარბელაშვილისებრივის მგალობლებისა. მე ბევრჯელ დავსწრებივარ ალავერდის დღეობასა და ამ წლისთანა მრავალი წირვის მომსმენელნი არ მინახავს. წირვის შემდეგ ექსარხოსმა პარაკლისი გადიხადა ახალის საიარმუკო მოედანზედ და თითქმის ყველა მოვაჭრეთა წყობაში ასხურა აიაზმა. ჩხუბები თუმცა მოხდა აქ, მაგრამ ისეთი კი არა, როგორც სოფ. რუსში. მინატრებთ, რომ ალავერდის იარმუკა გავრცელებულ და დღე გრძელ იქნეს ჩვენის ხალხის სასარგებლოთ.... თვით ალავერდის ტაძარი მეფა და მიზეზი დღესასწაულისა ფრიად უნუგეშო და სამწუხარო სურათს წარმოადგენს სახურავი (სიგრძეზედ ალამეთის ქვა ჰხურავს და სიგანეზედ-კი ქართული კრამიტი) იმდენად არის გაფუჭებული და დაძველებული, რომ ალმოსავლეთის სამხრეში ჩამოდის წვიმა. ჩამოდის აგრეთვე გუმბათთან გარედ გამოსასვლელს კიბეებში. ბუმბათი შიგნიდგან სრულიად გაშავებულია ნოტიოსაგან; გარედ კედლებიც, მომეტებულ ნაწილათ, თეთრ წამალ გადასულნი შავად გამოიყურებიან. ის კედლების ნაწილნი, რომელნიც თლილის ქვით არიან ნაშენნი (მომეტებული შენობისა აგურით არის ნაშენი), ნამეტნავად ალმოსავლეთის კედელი, თითქმის დაფუტურავებულია, ასე რომ თუ რაიმე ღონის-ძიება არ იხმარეს ამის შესაკეთებლად, შესაძლებელია ეს უზარ-მაზარი ტაძარი, მოწამე საქართველოს დიდებისა ხელიდგან გამოგვეცალოს ქართველებსა... ალავერდის სობოროო ორჯელ არის დაქცეული მიწის ძვრით: ქართ. მეფის როსტომის დროს (1634—1758) და თეიმურაზ მე II-ის დროს 1741-ს წელს და კვალად განახლებულ იქმნა. ნუ თუ ჩვენ ისე დავმცირდით რომ შეკეთებასაც ვერ მოვახერხებთ?!. ღმერთო, დაგვიფარე ამ გვარი სასოწარკვეთილებისაგან! „ღმერთო, შენ შთაგვინერგე ძლიერი სული თამარ მეფისა, მხნეობა დავით ალმაშენებელისა, ვაჟ-კაცობა ირაკლისა, მამულის მოყვარეობა სოლოომონ მსაჯულის მეუღლას-სოფიოსი, ლექსი და ნიჭი რუსთველისა!..

რ. ჯამსაშვილი-ტ.

თელავი, 16-ს სექტემბერს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

—

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: საფრანგეთის გარეშე საქმეთა ახალ მინისტრს შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნია დიპლომატიურ აგენტებისათვის: „რესპუბლიკის პრეზიდენტის დანდობით მოწვეულ ვიქენ რა გარეშე საქმეთა სამინისტროის მმართველად, მე ვალდებულად ვრაცხავ ჩემს თავს გთხოვოთ დაარწმუნოთ ის მმართებლობა, რომელთანაც თქვენ დანდობილად ბრძანდებით, რომ სრულიად არაფერი შევსცელი წინანდელი სამინისტროის გარეშე პოლიტიკას. დღეს რომ აფასებს ისე არასოდეს დაუფასებია საფრანგეთს მშვიდობიანობის დამყარება, რომელიც ასე უწყობს ხელს მისს კეთილდღეობას. ამ სისტემას, თავდაპირველად ჩემი დიდი ხნის მეგობრისა ტიერის სიბრძნისაგან შეთვისებულს, ათი წლის განმავლობაში უმტყუნარად მისდევს საფრანგეთი და კიდევაც იღებს მისგან მშვენიერ ნაყოფებს. ჩვენ ეუერთგულებთ ამ სასიქადულო გადმონაცემს და ყოველის ძალით ვეცდებით, რომ კიდევ უფრო განვავრცელოთ სხვა სახელმწიფოებთან საფრანგეთის რესპუბლიკისაგან ქონებული კეთილ განწყობილება. მე ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რამდენადაც ჩემგან იქნება დამოკიდებული, და იმედი მაქვს ამ რიგი პატრიოტულ მიზნის მისაღწევად ჩვენი დიპლომატიის ყველა წარმომადგენელნი უგულითადესს თანაგრძნობას და უერთგულესს დახმარებას აღმოიჩენენ.“

—

საბერძნეთის მმართებლობისათვის პირში და თესსალიაში მყოფთ მისს ელჩებს უცნობებიათ, რომ იანინის ვალი-ფაშამ მუსტაფა-ასსიმმა ალბანიის თავ-კაცებისაგან ჯარის გამოყვანა მოსთხოვა, და თოფ-წამლის და ფულით დახმარება თვითონვე აღუთქვაო.

—

იტალიის მეფეს ამ დღეებში სრულიად უპატივებია ბეჭვდვის კანონების წინაშე ყოველ გვარ დანაშაულთათვის.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ

ᲑᲠᲝᲚᲡᲡᲔᲡ

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსეს ზგიერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშე მცხოვრებელთათვის ადრესი: Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10—2)

ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘᲡ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ

კვირას 21, და ოთხშაბათს 24-ს ამა სეკტემბერს დაუკრავს საშხედრო მუზიკის ხორო. აგრეთვე იქნება სულ მუდამ. დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.

2—2

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲘᲐᲒᲝᲠᲙᲐᲡᲣᲛᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

უმორჩილესად სთხოვს მეორე ხარისხის პაის პატრონებს, რომელთაც ამხანაგობიდამ გასელა ჰსურთ და უნდათ მიიღონ მათგანვე შეტანილი ძირის ფული მიმდინარე საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, რომელიც გათავდება ამ წლის 1 დეკემბერს—შემოიტანონ სიტყვიერი ანუ დაწერილი განცხადება თავის სურვილისა ამ სახლის მთავარ კანტორაში, თანახმად § 37, რომლითაც ყოველი მათგანი შეკრულნი არიან ფირმასთან.

(3—3)



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასგან ხმარებული **ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

ისყიდება ავთიაქებში და ავთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის ავთიაკში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—25)

მომავალი ოკტომბრის პირველიდამ ამა წლისა ეხსნი ქ. **ᲑᲝᲠᲨᲘ** სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენისთვემდი, **ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ** თხუთმეტიდამ ოცამდე **ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ** რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიბება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინემ ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. ბორში, საკუთარს სახლში.

ᲐᲓᲐᲚᲝ ᲗᲣᲗᲐᲕᲔᲒᲘ.

(10—9)

ᲭᲘᲜᲐᲥᲘᲜᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲘᲡ, ᲐᲢᲙᲘᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲝᲡᲕᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ **ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (12—12)

ᲪᲘᲢᲠᲐᲢ - ᲛᲐᲒᲜᲔᲖᲘᲐ — ᲬᲥᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲙᲝᲒᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲜᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

(25—20)

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

ᲛᲐᲙ - ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გაძო **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—52)

ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲩᲝᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ტხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძეგვ 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინდუკ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ეუთი და სხვ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.**

(100—58)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ფასი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ფასის—1 მ. 40 კ

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, ვაზელინები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ღის.

(100—37)

დამშეულთ სასარგებლოდ ყოფილის ვამოფენის დაბოლავებით მოსპობის გამო არის

ᲓᲘᲓᲘ

ᲓᲐᲧᲘᲓᲕᲐ

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყოფილს სამხატვრო გამოფენაზე, ზოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლში ვესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. ბაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკტომბრამდე. იმავ რიცხვიდამ გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8—6)

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

მგზავრს ცხინვალიდგან. საკმაოა რაც მაგ საგნებზე დაიმეჭდა ჩვენს გაზეთში; თქვენი წერილი ახალს არაფერს გვაუწყებს. არ დაიბეჭდება.

Ყ—ᲨᲘ. Დ. Ღ—Ს. ჩვენდა სამწუხაროდ თქვენი სცენები არ გამოდგენენ. ნუ დაგვიგიწყებთ.

Ა—ᲨᲘ. Ი. Ვ—Ს. შემდეგში თუ „ბევრ სტატიებს და ცნობებს“ გამოგვიგზავნით მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ეხლანდელს თქვენს ფელტონს კი ვერ დავბეჭდავთ უვარგისობის გამო. მაგ საგნებზე რომ კორრესპონდენცია დაგეწერათ იქნება გამოგვეყენებია. მუდამ დღე ვაცხადებთ გაზეთის სათაურში რომ „დაუბეჭდელს წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს“; რით ვერ გაიგეთ?

Ქ—ᲨᲘ. Მ. Ა—Ს. ბთხოვთ განგვათავისუფლოთ ავ-ზნიანი მუზისაგან შთაგონებულ თქვენი ლექსებიდამ. თუ მოინდომებთ ბევრი (და არ დაგჭირდებათ ამ თხოვნის ასასრულებლად: ოღონდ ერთხელ გადიკითხეთ თქვენგანვე შეთხზული ლექსის გინდ ერთი შემდეგი ტაეპი:

„წამოჯდა სუფრას ეს დიდი დათვი
არ არი მღვდელი, არს დიაკონი,
სახელი არის მისი იოსებ
ბვარიც იქნება ბოლოს მოსული“

და იმედია სამუდამოთ შეგძულდესთ მოლექსობა.

Ჯ—ᲨᲘ. Მ. Ა—ᲫᲔᲡ. „იკმარეთ, გვაკმარეთ, დღენი ნუ გაიმწარეთ“!

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Сентября 1880 г. Типографя Меликова ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს.ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ